ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №148

ქ.ბათუმი 10 აგვისტო 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (შემდგომში ,, შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის – ოთარ კალანდაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,, გეპა" (ს/კ: 445506587), წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები**

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ ,, ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე", – კალენდარული დღე,კვირა,თვე;

1.6. ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპექტაკლებისთვის საჭირო დანართი N1–ით გათვალისწინებული საჭირო საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.(CPV-79900000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 572 (ხუთასსამოცდათორმეტი) ლარს.

3.2 კონკრეტული საქონლის სახეობა, დასახელება,რაოდენობა, ზომის ერთეული და ღირებულება განისაზღვრება ფასების ცხრილით (დანართი №1).

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხიმსგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი;

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ;

6. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხი,სტანდარტები,ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

7.3. „7.2."პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების სესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად, შემსყიდველის კონტროლისამებრ.

8.3. კონტროლი ხორციელდება, როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება–ჩაბარებისას.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10.დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. ,,10.3.'' მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

11.2. ხელსეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობთ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულების ,,12.1.'' მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ,,12.1.'' მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განძრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლო.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. ხელშეკრულება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქაართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი''	შ.პ.ს. ,,გეპა''
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №1	ს/კ: 445506587
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 429 059	მიმღები ბანკი: ,,პროკრედიტ ბანკი''
საბიუჯეტო სახსრები	ანგარიშის ნომერი:GE92PC0033600100053916
	ბანკის კოდი: MIBGGE22
დირექტორი: ოთარ ჯალაღანიძე	დირექტორი: გელა პატარაია

Gela Pataraia

Подписано цифровой подписью: Gela Pataraia
DN: cn=Gela Pataraia, serialNumber=61003002868, o=Citizen, c=GE
Дата: 2020.08.10 11:51:00 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	7207 Energizer 1-Hour CH1HR3 დამტენი + 2ც AA230mAh E300321700	ცალი	4	115,00	460,00
	აკუმულატორი HR6/NB2400 Duracell Rechargeable 2xAA, 057128	ცალი	4	28,00	112,00
ჯამში: 572 ლარი					

შემსყიდველი:

სსიპ ,, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 429 059
საბიუჯეტო სახსრები

დირექტორი: ოთარ კალანდაძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,გეპა"
ს/კ: 445506587
მიმღები ბანკი: ,,პროკრედიტ ბანკი"
ანგარიშის ნომერი:GE92PC0033600100053916
ბანკის კოდი: MIBGGE22

დირექტორი: გელა პატარაია

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 10 აგვისტო 2020 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ჩვენ, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირის ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის'' მიერ შ.პ.ს. გეპა'' – სთან (ს/კ:445506587) 2020 წლის 10 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N148 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი: ..... /ო.კალანდაძე/

იურისტი: ..... /დ.მამულაძე/